ბიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№12 (30) დეკემბერი 2009 წელი

დავით გარეჯი

საკვიჩარო სკოლა ქეთევანი კანჭარავას პატრონაჟით

ყიდევი - 250

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

საკვირაო სკოლა ქეთევან კაჭარავას პატრონაჟით

დევნილი ბავშვებისათვის უფასო საკვირაო სკოლის გახსნის იდეა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში ჯერ კიდევ გასულ წელს დაიბადა. იმთავითვე მისი ხორცშესხმა ვერ მოხერხდა შესაფერისი ფართის უქონლობის გამო. მ.წ. ბოლოს კი ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ბიძინამ (გუნია) ტაძრის სამრევლო სკოლაში გამოგვიყო დიდი ოთახი, რომელიც 50-მდე მსმენელს იტევს.

და აი, 6 დეკემბერს საკვირაო სკოლა გაიხსნა. პირველ შეკრებაზე აფხაზეთის №3 და №8 საჯარო სკოლების IV- VI კლასების მოსწავლეებმა მოიყარეს თავი. მათი მოზიდვის ორგანიზაციაში თანადგომა გაგვიწია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ. მოსწავლეების დასწრებაზე პასუხისმგებლობა იკისრეს მასწავლებლებმა: მარინა გოგელიამ, ქეთევან გოგუამ და დოდო კრილოვამ.

საკვირაო სკოლის ხელმძღვანელად მოვიწვიეთ საქართველოს სახალხო არტისტი, რეჟისორი გურამ მელივა. უკვე გაიმართა სამი შეხვედრა. უნდა ითქვას, რომ დევნილმა ბავშვებმა შეხვედრების მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ბატონი გურამი მოზარდებისათვის ადვილად გასაგები ენით და ცოცხლად საუბრობდა ისეთ თემებზე, როგორიცაა სურვილი და ქმედება, სიყვარული და რწმენა, განათლება და კულტურა, ბუნება და ადამიანი, საქართველო და გარესამყარო... ბატონი გურამი სიტყვითა თუ მოქმედებით, სერიოზული თემების მიუხედავად, ადვილად ახერხებდა ბავშვების საუბარში ჩართვას და ყოველი მათგანის ყურადღების გააქტიურებას.

ზამთრის არდადეგების შემდეგ, 24 იანვარს, საკვირაო სკოლა განაახლებს მუშაობას.

საკვირაო სკოლის მოსწავლეებს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ბარამიას მეუღლემ ქეთევან კაჭარავამ, რომელიც დაესწრო სკოლის გახსნას და მისი პატრონაჟი იტვირთა. ქალბატონი ქეთევანის დაპირებამ ბავშვების ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე გაყვანის შესახებ კიდევ უფრო გაზარდა საკვირაო სკოლის მოსწავლეთა ენთუზიაზმი.

საკაცობრიო მნიშვნელობის მოაზროვნე

წელს მსოფლიო საზოგადოებრიობამ აღნიშნა უდიდესი ხელოვანის ფრიდრიხ შილერის დაბადებიდან 250 წლის იუბილე. ხელოვანისა, რომლის „ოდა სიხარულს“ საფუძვლად დაედო ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის საუკეთესო ნაწილს და დღეს ყღერს, როგორც ევროპის გაერთიანების ჰიმნი, მოწოდება დედამიწაზე ერთობის, მშვიდობის, პიროვნების თავისუფლების ზეობისა.

„გოეთეს საზოგადოებამ“, საქართველოში გერმანელთა ასოციაცია „აინუნგმა“ და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ამ თარიღს მშვენიერი საღამო მიუძღვნეს, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები.

საღამო გახსნა „აინუნგის“ პრეზიდენტმა, დოქტორმა ჰარი აუგსტმა.

შილერის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრა მუსიკოლოგმა სვეტლანა ქეცბამ:

შილერი გერმანელი ხალხის მძიმე განსაცდელის პერიოდში ცხოვრობდა. მაშინ გერმანია მრავალ ცეროდენა, ჯუჯა მონარქიად დაქუცმაცებულ ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ მშრომელი ხალხის ულმობელ ჩაგვრაში. თავის მმართველთა სისასტიკით განსაკუთრებით ცნობილი ვიურტემბერგის საჰერცოგო, ფრიდრიხ შილერის სამშობლო, იყო. მან თავის თავზე იწვნია ვიურტემბერგის მმართველობის ყველა „სიამე“ და ადრეული ასაკიდან გადაიტანა თავისი თანამედროვე საზოგადოების ავადმყოფობა.

შილერის შემოქმედება აღშფოთების გამომხატველი მრისხანე ბგერით დაიწყო. მისი პირველი დრამა „ყაჩაღები“ (1781 წ.) — ფეოდალური წყობისადმი სიძულვილს გამოხატავს. ამ პერიოდის გერმანულ ლიტერატურაში მრავლადაა ნაწარმოებები, რომლებიც ჩაგვრის წინააღმდეგ და სოციალური გარდაქმნის აუცილებლობისაკენ მოუწოდებენ. ასეთია, მაგალითად, ლესინგის „ემილია გალოტი“ და „ნათან ბრძენი“ (1779), გოეთეს „გიოტც ფონ ბერლიხინგენი“ (1773) და „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ (1774).

1784 წელს შილერი წერს მეორე დრამას „ვერაგობა და სიყვარული“. ამ ნაწარმოების განსაკუთრებული ძალა მდგომარეობს მედიდური მჩაგვრელების სამყაროს უბრალო ადამიანების სამყაროსთან დაპირისპირებაში, რასაც ნათლად წარმოაჩენს ლუიზა მილერის სახე. ამ გმირის სახელი თავდაპირველად ეწოდა

(გაგრძელება მე-4 გვ.)

საკაცობრიო მნიშვნელობის მიაჯრილნი

(დასაწყისი მე-3 გვ.)

კიდეც პიესას (სხვათა შორის, ჯუზეპე ვერდი ამ სიუჟეტის ოპერის დაწერისას მის პირველ სახელწოდებას ტოვებს). ლუიზა მილერი, ღარიბი მევიოლინის შვილი, სულის საოცარ სიძლიერეს ავლენს, აღდგება რა გამძვინვარებული ძალადობის წინააღმდეგ და მორალურ გამარჯვებას მოიპოვებს მასზე. პიესაში ხალხის მრისხანების ძალა მზარდია და შეუკავებელი. შილერი გვიჩვენებს, რომ „ხალხი სისხლისგან იცლება“, მაგრამ ის ჯერ კიდევ არაა მზად თავისი ძალის გამოსავლენად. ამასთან, პიესა თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია სამაგიეროს მიზღვის დაუოკებელი წინათგრძნობით.

შილერის შემოქმედებაში დრამატურგიის პარალელურად ვითარდება ლირიკა. იგი სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ-ჰუმანურ მოტივებს. გავიხსენოთ „ჰიმნი სიხარულს“, სადაც მძლავრად გაიჟღერა მოწოდებამ „მილიონებისადმი“, რათა „შეინარჩუნონ გამბედაობა“ და ნათლად გამოიხატა რწმენა იმისა, რომ ახლოვდება „ტირანიის ჯაჭვებისაგან განთავისუფლების“ ჟამი.

კარლ მოორი და მისი გარემომცველი ადამიანები არ წარმოადგენდნენ რომანტიული ფანტაზიის ნაყოფს. ისინი ცხოვრებისეული, ნიჭიერი ადამიანები იყვნენ, რომელნიც ვერ ეგუებოდნენ გარე სინამდვილეს. „მიისწრაფოდნენ რა მაღალი სრულყოფილებისაკენ, ისინი ვერ აღწევენ მას, მიისწრაფოდნენ რა, მათი გაგებით, მაღალი ბედნიერებისაკენ, ამქვეყნად ყველაზე უბედურები ხდებიან“.

შემოქმედებითი გზის ბრწყინვალე დასაწყისის შემდეგ შილერი შინაგან კრიზისს განიცდის, რასაც სოციალური წინააღმდეგობები განაპირობებს. დრამა „დონ კარლოსში“ მისი ესთეტიური შეხედულებები ერთგვარ ცვლილებებს განიცდის, ჩნდება მიდრეკილება განყენებული სახეებისადმი. მარკიზ პოზა, რომლის მსჯელობა სავსეა პათოსით, მოწყვეტილია რეალობას. მის ბაგეთაგან მოედინება ხალხის თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვები, მაგრამ ის ხელოვნური ფიგურაა, რომელსაც ფეხქვეშ არ გააჩნია ის მტკიცე საყრდენი, როგორზეც მისი პირველი დრამების გმირები იდგნენ.

შილერის შემოქმედების პირველივე პერიოდი მოიცავს თავისი დროის პროგრესულ მრწამსს. ახალგაზრდა მწერალი გაბედულად ებმება ფეოდალურ თვითნებობასა და დესპოტიზმთან ჭიდილში. პროგრამულ სტატიაში „თეატრი, როგორც ზნეობრივი დაწესებულება“ ის თეატრს „სამოქალაქო ცხოვრების გზის გამკვლევს“ უწოდებს, თეატრმა უნდა აჩვენოს „ჩამორჩენილობის როგორ ტყვეობაში იმყოფება ხალხის მასა“.

ამავე წლებში შილერი მიისწრაფის დრამატურგიაზე თავისი შეხედულების მკაფიოდ ჩამოყალიბებისაკენ. ის თეატრში ხედავს „ადამიანის ცხოვრების გახსნილ სარკეს, სადაც ფერადოვნად და ახლებურად აისახება უთანამედროვესი ხვეულები გულისა“.თეატრის ძალა — მის უნარშია მოიყვანოს მოძრაობაში „ადამიანურობის სიმები“.

განსაზღვრავდა რა თავისი დრამის დედააზრს, ის წერდა, რომ კარლ მოორის ხანჯალი „შიშს ჰგვრიდა პატარა ტირანებს, მარამ საფულე ყოველთვის გახსნილი იყო ღარიბებისათვის და ხელები მუდმივად მზადყოფნაში მათ დასაცავად“.

დამახასათებელია, რომ მეფის ცენზურის მიერ აიკრძალა ჟურნალის ის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა „წერილები ესთეტიური აღზრდის შესახებ“. შილერის ხედვა შემოქმედის ამოცანაზე, ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ კვლავაც ანაყოფიერებს მის შემოქმედებას. 1797 წელს დაწერილ არაჩვეულებრივ ორსტროფიან ლექსში „ადამიანის ღირსება“ ნათქვამია: „საკმარისია ლაპარაკი ამაზე, მიეცით მათ საკვები, მიეცით მათ თავშესაფარი, მიეცით ის, რითაც სიშიშვლეს დაიფარავენ და მაშინ ღირსება თავისთავად მოვა“.

შილერის შინაგანი კრიზისი, მტანჯველი ორჭოფობა უძლურია შეაფერხოს მისი შემოქმედების მძლავრი განვითარება. მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში გოეთესთან მეგობრობა მას დახმარების ხელს უწვდის და ამდიდრებს. „ქსენიადან“, მათი ერთობლივი შემოქმედების ნაყოფიდან, მოედინება მქუხარე ნაკადი, რომელშიც გოეთე და შილერი ულმობლად უსწორდებიან ფეოდალურ გადმონაშთებს. სწორედ ამავე პერიოდში ქმნის შილერი თავის ცნობილ ბალადებს — გერმანული პოეზიის მარგალიტებს.

გოეთესა და შილერის ერთობლივი მუშაობა წარმოადგენს გერმანული კლასიკური ლიტერატურის მწვერვალს, რომელიც, მკვლევარ ფრანც მერინგს თუ მოვიშველიებთ, „უთვალავ გამანაყოფიერებელ ნაკადად ჩაედინება ნაციის სულიერ ცხოვრებაში“.

დიდებული შემოქმედებითი აღმასვლის ილუსტრაციას წარმოადგენს შილერის გვიანდელი დრამები. ისინი გვაოცებენ თავისი ისტორიული რეალისტური სიღრმით. მისი დიდებული ქმნილება — ტრილოგია „ვალენშტაინი“ არის გერმანული ისტორიის სისხლმდინარე ნაგლეჯი, ჭეშმარიტი სურათი წარსულისა, როდესაც უნდა გადაწყვეტილიყო ქვეყნისა და ხალხის ბედი. დრამას, რომელიც დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას, მოჰყვა „ორლეანელი ქალწული“ (დრამა დევნილობის პერიოდში სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეპერტუარშიც შევიდა) და „ვილჰელმ ტელი“. ეს უკანასკნელი ქრონოლოგიურად დაშორებულია შილერის დროს, მაგრამ შვეიცარელი მწყემსების ბრძოლა თავისუფლებისათვის დღემდე არავის ტოვებს გულგრილს, განსაკუთრებით მათ, ვისაც არ სურს შეურიგდეს ჩაგვრასა და ტირანიას. ამიტომ ახდენს ასეთ შთაბეჭდილებას ცნობილ სცენაში რუტლიზე შვეიცარიელი გლეხების ფიცი: „დაე, ვიყოთ ჩვენ თავისუფალი, როგორც წინაპრები, და დაე, სიკვდილი არჩიოს თითოეულმა ჩვენგანმა მონობას“.

საინტერესოა, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც ყოველწლიურად შვეიცარიაში, ბაუერბახში, სადაც შილერი ვიურტემბერგის საჰერცოგოდან გაქცევის შემდეგ ქმნიდა „ვერაგობას და სიყვარულს“, ამ სოფლის სიახლოვეს მთის ფერდობზე

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(დასაწყისი მე-4 გვ.)

აშენებულ ამფითეატრში, დამკვიდრდა „ვილჰელმ ტელის“ სახალხო შესრულების ტრადიცია. აქ თავს იყრის მრავალრიცხოვანი მაყურებელი. დეკორაციას წარმოადგენს ბუნება, ნაგებობა კი სულ ორია, მარცხნივ ფეოდალური ციხე-სიმაგრე, მარჯვნივ — გლეხური ქოხი. შემსრულებელი — ბაუერბახის 100 მაცხოვრებელი, (რომელსაც სულ 400-მდე მაცხოვრებელი ჰყავს). სპექტაკლის ყოველი წარმოდგენა დიდ სახალხო ზეიმში, შილერის შემოქმედების დღესასწაულში გადაიზრდება ხოლმე.

რომელ ქვეყანასაც არ უნდა აღწერდეს შილერი თავის დრამებში, იქნება ეს ნიდერლანდები, საფრანგეთი თუ შვეიცარია, ის ყოველთვის ფიქრობს თავის გერმანიაზე, ფიქრობს იმაზე, თუ რისი განხორციელება მოუწევს მის ხალხს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად. ეს მის ლიტერატურულ ნაწარმოებებს აახლოვებს თანამედროვეობასთან, თვალნათლივს ხდის მასში ჩაქსოვილ ლიტერატურულ გაკვეთილებს და ღრმად აღიბეჭდება აზროვნებაში. ამაშია შილერის ლიტერატურული დრამის სიძლიერე, რომელშიც დიდ როლს ასრულებს ხალხი და რომელიც ისტორიისა და თანამედროვეობის ყველაზე მწვავე საკითხებს ეხმიანება.

შილერის გავლენა უდიდესია არა მარტო მსოფლიო თეატრალურ, არამედ სხვა სფეროებზე, განსაკუთრებით მუსიკალურზე, რის დასტურსაც წარმოადგენს შილერის დაბადებიდან 250 წლისთავის საიუბილეო საღამოს საკონცერტო პროგრამა.



პროგრამა

ფრიდრიხ შილერი. „იმედი“. კითხულობს **თეა თევზაძე.**

ფრიდრიხ შილერი. „გერმანული მუზა“. კითხულობს **ნინო გარნაველი.**

ფრანც შუბერტი. „ამალია“.

ფრანც შუბერტი. „გოგონას ჩივილი“. ასრულებენ **მანანა პაიჭაძე** (მეცო-სოპრანო), თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კონცერტმაისტერი **დარეჯან მახაშვილი.** შილერის ლექსების ქართულ თარგმანს კითხულობს **ნინო გოშაძე.**

ჯუზეპე ვერდი. ფიესკოს არია ოპერიდან „სიმონ ბოკანეგრა“. ასრულებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი **ლეგი იმედაშვილი** (ბანი). კონცერტმაისტერი **სოფიო გოშაძე.**

ფრიდრიხ შილერი. ბალადა „ხელთათმანი“ კითხულობენ გერმანულ და ქართულ ენებზე **მანანა პაიჭაძე** და **ნინო გოშაძე.**

ჯაკომო პუჩინი. **ლიუს ორი არია ოპერიდან „ტურანდოტი“. ასრულებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი მარიამ ქობალია (სოპრანო). კონცერტმაისტერი დარეჯან მახაშვილი.**

ჯუზეპე ვერდი. **ფილიპის არია ოპერიდან „დონ კარლოსი“. ასრულებს ლეგი იმედაშვილი.**

ჯუზეპე ვერდი. **მარკიზ პოზას სიკვდილის სცენა ოპერიდან „დონ კარლოსი“. ასრულებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი მამუკა ტეფნაძე (ბარიტონი). კონცერტმაისტერი სოფიო გოშაძე.**

ჯუზეპე ვერდი. **ელისაბედის არია ოპერიდან „დონ კარლოსი“. ასრულებს მარიამ ქობალია.**

ჯუზეპე ვერდი. **მარკიზ პოზასა და დონ კარლოსის დუეტი ოპერიდან „დონ კარლოსი“. ასრულებენ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები, საქართველოს სახალხო არტისტები თემურ გუგუშვილი (ტენორი) და ელდარ გეწაძე (ბარიტონი). კონცერტმაისტერი დარეჯან მახაშვილი.**

შესავალი სიტყვები: **სვეტლანა ქეცბა და ჰარი აუგსტი.**

სოსო თოფურიძე, ექიმი, მოჭადრაკე:

— საკმაოდ კარგად ვიცნობ შილერის შემოქმედებას. არაერთხელ ნანახი მაქვს თბილისის საოპერო თეატრსა და კონცერტებზე მოსმენილი მის ტექსტებზე აჟღერებული მუსიკა. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ საღამოზე დასწრება ასეთ თავსხმაში სათუო შეიქმნა. ვორჭოფობდი: გავიდე თუ არა სახლიდან-მეთქი. კარგი ვქენი, რომ წამოვედი. ძალიან კმაყოფილი ვარ. რა მდიდარი ინფორმაცია მოგვაწოდეს საღამოს წამყვანებმა: მუსიკოლოგმა, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ და გერმანისტმა, პროფესორმა, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის განყოფილების პრეზიდენტმა მანანა პაიჭაძემ. მათ საინტერესოდ წარმოაჩინეს შილერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის როლი მსოფლიო ლიტერატურაში, მისი უდიდესი მნიშვნელობა ზოგადთეატრალურ ხელოვნებაში. ქალბატონების — სვეტლანასა და მანანას ნაამბობი გაჯერებული იყო კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებით, რომელშიც ჩანდა ქართულ-აფხაზური საზოგადოების სიახლოვე მწერლის ნაწარმოებებთან. საუბრებს დროდადრო ენაცვლებოდა რომანსები და საოპერო არიები და სცენები ქართველი მომღერლების შესრულებით. მერედა რა რანგის შემსრულებლები! ერთიმეორეზე უკეთესი შემსრულებლები!

მსმენელთა დაჟინებული მოთხოვნით თემურ გუგუშვილმა და ელდარ გეწაძემ „დონ კარლოსიდან“ მარკიზ პოზასა და დონ კარლოსის დუეტი განმეორებით შეასრულეს.

საღამოზე მოვისმინეთ ლიუს არია „ტურანდოტიდან“. სიმღერის დაწყებამდე მიშელინა ქობალიანმა გვამცნო, რომ დეკემბერში ქალაქ ბონის საოპერო თეატრში ის ორ ქართველ მომღერალთან — გია ონიანსა და რამაზ ჩიქვილაძესთან ერთად მიწვეულია ამ ოპერის დადგმაში მონაწილეობისათვის. წამყვანებმა განგვიმარტეს ისიც, თუ რატომ მოხვდა ოპერა „ტურანდოტი“ კონცერტის პროგრამაში. თურმე, კარლ გოცის დრამატული ზღაპარი „ტურანდოტი, ჩინელი პრინცესა“, რომლის საფუძველზე დაიწერა პუჩინის ოპერის ლიბრეტო, გერმანიაში სწორედ ფრიდრიხ შილერისეული ვერსიით გამხდარა ცნობილი.

დიდი მადლობა მონიჭებული სიამოვნებისათვის აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრს და საქართველოში გერმანელთა ასოციაცია „აინუნგს“.

გაიმოფენა „ჩემი აფხაზეთი“ სამხატვრო აკადემიაში

ილიაობის დღეს სამებაში მოვაწყვეთ ფოტოგამოფენა „ჩემი აფხაზეთი“. იგი დაათვალიერეს თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მაცხოვრებლებმა, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მან იმ დევნილებზე მოახდინა, რომელთათვისაც გამოფენა „ჩემი აფხაზეთი“ მიტოვებულ სამშობლოსთან შეხვედრად იქცა. საოცარი, განუმეორებელი ბუნება... საოცარი, განუმეორებელი, ფოტოსურათებზე აღბეჭდილი არქიტექტურა... მაგრამ თუ ეს გამოფენა საშუალო ასაკისა და ხანდაზმულებისათვის მოგონებას წარმოადგენდა, ახალგაზრდებისათვის ის ჯერ უნახავი, მშვენიერი მიწის აღმოჩენას ნიშნავდა. ამიტომაც ბუნებრივი იყო სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობის სურვილი ამ აღმოჩენას ზიარებოდა მეტი ახალგაზრდობა. გაიმართა მოლაპარაკება თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორთან, ცნობილ მხატვარ, პროფესორ გის ბუღაძესთან. შედეგად 7 დეკემბერს აკადემიის საგამოფენო დარბაზში განლაგდა აფხაზეთისადმი მიძღვნილი 100 ექსპონატისაგან შემდგარი ექსპოზიცია. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დამთვალიერებელთა შორის ისევ და ისევ აფხაზეთის მკვიდრნი ჭარბობდნენ, რომლებსაც კიდევ ერთხელ მიეცათ მიტოვებულ სიწმინდეებთან შეხების საშუალება. ჭეშმარიტად უზარმაზარი აღტაცება იყო აღბეჭდილი სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა სახეებზე. მშვენიერებაზე აღზრდილთ, განა შეეძლოთ გულგრილად ეცქირათ იმ სილამაზისათვის, რაც გამოფენაზე იყო წარმოდგენილი! მათთვის ეს მშვენიერების სამყაროში შესვლა იყო, მაგრამ ამასთანავე კიდევ რაღაც უფრო მეტი, დაკავშირებული პატრიოტულ გრძნობებთან, თავისი პატრიოტული ვალის შეგრძნებასთან, საკუთარი ადგილის შეცნობასთან დედამიწაზე.

კონცერტი დევნილებისათვის

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №1 სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე ანა ყიფიანი 2009 წლის 29 ოქტომბერს რთული საკონცერტო პროგრამით წარსდგა დევნილი მსმენელის წინაშე. მიუხედავად მცირე ასაკისა, ანა ყიფიანს საკმაოდ წარმატებული საკონცერტო-შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. არის რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, საკონკურსო პრიზების მფლობელი და ფესტივალების მონაწილე. მის მიერ მოპოვებული ჯილდოებიდან

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში ნოდარ გაბუნიას კონკურსზე I ადგილი და პრიზი „კონკურსის საუკეთესო შემსრულებელი“ (2006 წ.), პარიზში ნიკოლოზ რუბინშტეინის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე თავის კატეგორიაში პირველი პრემია (2008 წ.) და ხარკოვში ვლადიმერ კრაინევის სახელობის ნორჩ პიანისტთა მე-9 საერთაშორისო კონკურსზე „გრან-პრი“ (2008 წ.).

ანა ყიფიანის შესრულებით შუმანის „იუმორესკამ“, სკრიაბინის მეორე საფორტეპიანო სონატამ, ბეთჰოვენის „32 ვარიაციამ“ და შოპენის მესამე სონატამ მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

დავით გარეჯი - წმინდა სავანე

დევნილი საზოგადოების სულიერი სამყაროს გამდიდრების მიზნით საკონცერტო თუ სხვა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროგრამებთან ერთად სულიერებისა და კულტურის ცენტრის სამუშაო გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს მოლოცვით მოგზაურობებს. გასულ წლებში რამდენჯერმე მოეწყო ასეთი გასვლები მოზარდების მონაწილეობით. ამჯერად შეირჩა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. 23 ნოემბერს, წმ. გიორგის ხსენების დღეს, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები სწორედ სულიერების ამ ძეგლის მოსალოცად შემოგვიერთდნენ. გაგაცნობთ ორი მათგანის შთაბეჭდილებას:

თინათინ ხაბურძანია, შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი:

— ჩვენს სულიერად ღარიბ, კოსმოპოლიტურ და პრაგმატულ სივრცეში სული საოცარ შიმშილს განიცდის, რადგან მას, როგორც ხორცს და მატერიას, მოვლა, კვება, ზრუნვა-პატრონობა სჭირდება. ცხოვრების კოსმიური ტემპი ადამიანს ხშირად ბუნებასთან და სულიერებასთან განაშორებს; ხშირად სულიერ განტვირთვას კინო-თეატრებში, კაფე-ბარებში, მეგობართა წრეში ვეძიებთ, მაგრამ სული შინაგანად მაინც დისკომფორტს განიცდის, მუდმივად შფოთავს და რაღაცას მოისაკლისებს. ეს თემა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მოკლედ შემო-

(გაგრძელება მე-7 გვ.)

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ვიფარგლებით და მოგახსენებთ, რომ ზუსტად წმ. გიორგის დღესასწაულზე, როცა ყველაზე მეტად გინდა საკუთარ თავში ჩაღრმავება, სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობის დამსახურებით შევძელით მოგველოცა სულიერების კერა — დავით გარეჯი, რაზეც ყველას ჩვენს სულიერ სამყაროში ჩვენებური წარმოსახვა გაგვაჩნდა, ნანახმა კი მოლოდინს გადააჭარბა და ამ მადლიან დღეს კიდევ უფრო მადლმოსილებმა მოვილოცეთ ეს ღვთივკურთხეული ადგილი. ეს სწორედ ის სივრცე აღმოჩნდა, სადაც ხმაურიანი და საქმიანი მეგაპოლისიდან შორს დიდი შვება მოგვგვარა და დადებითად დაგვმუხტა, სულის შიმშილიც დაგვიკმაყოფილა და გონებაც გადართო მაღალ მატერიებზე, რამაც კვლავაც დაგვიტოვა სურვილი მსგავსი პილიგრიმობის მოწყობისა. მადლობას ვუხდით ჩვენს სულიერებისა და კულტურის ცენტრს, რომ თუნდაც რამდენიმე საათით მოვწყდით რუტინას და სულიერად ავმაღლდით ამ წმინდა სავანეში.

შორენა სართანია, აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს ხაზინის უფროსი სპეციალისტი:

— საქართველოს გაქრისტიანებაში წმინდა ნინოს შემდეგ დიდი წვლილი 13 ასურელ მამას მიუძღვის. მათი საფლავები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია. ისინი წმინდანებად არიან შერაცხულები. მათ შორისაა დავით გარეჯელი. ეს წმინდა ადგილი მოვინახულეთ სულიერებისა და კულტურის ცენტრის დახმარებით. ვიხილე თვალუწვდენელ სივრცეში ულამაზესი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც საზოგადოებაში დავით გარეჯის მამათა მონასტრის სახელითაა ცნობილი. აქ ბერები დღემდე მსახურობენ. იქვეა წმ. დავითის საფლავიც, ხოლო როდესაც ფეხით ავუყევით მონასტერს, ვნახეთ კელიები, რომლებიც ვინ იცის, რამდენ საუკუნეს ითვლის, მაგრამ მათ მაინც აქვთ შემორჩენილი ძველი სილამაზე. ფრესკებში არეკლილია საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი შტრიხები. ნანახმა დიდი ზეგავლენა მოახდინა თითოეულ ჩვენგანზე. მიღებული შთაბეჭდილებები მთელი სიცოცხლის მანძილზე სასიამოვნო მოგონებად დამრჩება.

მონაწილეობა აფხაზეთის კულტურის დღეებში

2009 წლის 8 ნოემბერს საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში აფხაზეთის კულტურის დღეების დახურვისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. მას სულიერებისა და კულტურის ცენტრიც შეუერთდა და საკუთარი პროდუქცია წარმოადგინა. გამოფენილი იყო ტაძრების, ფრესკების ფოტოსურათები აფხაზეთის მკვიდრ ვახტანგ ჯორჯიკიას კოლექციიდან, სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა. ასევე ცენტრთან არსებული ქარგვის, ხატწერისა და მინანქრის შემსწავლელი წრეების მოსწავლეთა ნამუშევრები.

„პირველად იყო სიტყვა...“

„... ყოველი საიდუმლო
ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

ქართული პოეზიის მარგალიტები

ირაკლი აბაშიძე – 100

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია.
რა დიდ ფიქრშია,
    რა მწველ დარდსა;
როგორ აბგერდნენ საცხეს ქედები...
ვინ იცის,
    როგორ მელის ვარძია!
როგორ მელიან თმოგვის კედლები,
უთქმელ ღაღადით,
    უთქმელ ვედრებით,
როგორ ამღერდნენ
    მაღალ ღმერთისთვის...
როგორ მელიან თმოგვის კედლები,
ვინ იცის, როგორ მელის
ხერთვისი...
    იმ ძველ მოძღვრისთვის,
იმ ძველ მხედრისთვის,
სიცოცხლეს მხოლოდ ერთი ახრი აქვს...
ვინ იცის,
    როგორ მელის ხერთვისი!
როგორ მელიან მტკვარზე მერცხლები,
ნამი,
    რომელიც ველის ვარდსა...
ვინ იცის,
როგორ მელის მესხეთი
ვინ იცის,
    როგორ მელის ვარძია!..

წმიდა მღვდელმთავარი აბიბოს ნეკრესელი (VI)

29 (12.12) ნოემბერი

ღვთისმშობლის კურთხევით VI საუკუნეში საქართველოში ჩამოვიდნენ ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფენი. ისინი იყვნენ „ღმრთისა სათნონი ნათელნი სოფლისანი, ჭურნი რჩეულნი სავსენი ნელსაცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონნი უცთომელნი მონოზონებისანი“. მათ შორის ბრწყინავდა აბიბოს ნეკრესელი, „მღვდელთმოძღუარი უბიწოჲ, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი. სანთელი მაღლად მნთებარე, მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ, შემწირველი უბიწოდ ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელმან თავიცა თჳსი შეწირა მსხუერპლად მისსა მიმართ ჴელითა უსჯულოჲსა მარზაპანისაჲთა“.

აბიბოსი თავიდან ღირს იოანესთან და სხვა ძმებთან ერთად ზადენის მთაზე ცხოვრობდა, შემდგომ კი ევლავიოს კათოლიკოსის და იოანე ზედაზნელის კურთხევით ნეკრესს ჩავიდა და მოციქულებრივ ღვაწლს შეუდგა. მადლმოსილი მსახურებისთვის წმიდა აბიბოსი „იქმნა... ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მჴრისა დიდოთურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი“, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი „ქართლის ცხოვრებაში“.

ამ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები ბატონობდნენ და ყველა ძალას ხმარობდნენ თავიანთი ცრუ სარწმუნოების გასავრცელებლად. მათ მრავალგან ააგეს ბომონები, სადაც ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი. მაზდეანები ზარ-ზეიმით აღასრულებდნენ თავიანთ ბოროტ წესებს და ქართველთა გადადრეკას ცდილობდნენ.

მოციქულებრივი შურით აღძრული წმიდა აბიბოს ნეკრესელი დაუღალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებსა და დაბებში, ჭეშმარიტებას უქადაგებდა ქართველებს და სიმტკიცისკენ მოუწოდებდა.

ერთხელ წმიდა მღვდელმთავარმა ნახა, რომ მოგვები აიძულებდნენ ქართველებს, თაყვანი ეცათ ცეცხლისთვის, ვეღარ მოითმინა ბოროტება, წყალი დაასხა ცეცხლს და ჩააქრო. განრისხებულმა მოგვებმა შეიპყრეს წმიდა აბიბოსი, სასტიკად სცემეს და ცოცხალ-მკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს. შემდგომ ეს ამბავი აცნობეს სპარსეთის მარზაპანს, რომელიც ამ დროს სოფელ რეხში იმყოფებოდა. მარზაპანმა ბრძანა, მისთვის მიეგვარათ წმიდა აბიბოსი.

წმიდა აბიბოსი ღირსი სვიმეონ მესვეტის (ხს. 1 სექტემბ.) მეგობარი იყო. იოანე ზედაზნელი და მისი სულიერი ძმები სწორედ მის ლავრაში ღებულობდნენ სასულიერო განათლებას. ღირს სვიმეონს ღმრთისგან ეუწყა წმიდა აბიბოსის მომავალი წამების შესახებ და ეპისტოლე, ევლოგია და კვერთხი გამოუგზავნა წმიდა მამას. სოფელ იალდოს მიღწეულ აბიბოსს ანტიოქიიდან წამოსული მოციქული შემოხვდა და ღირსი სვიმეონის საჩუქარი გადასცა. ეპისტოლემ და ძვირფასმა საჩუქარმა გაახარა და განამტკიცა ტანჯვისთვის განმზადებული წმიდა მღვდელმთავარი. გზად მას ქართველები დახვდნენ და განთავისუფლების იდეა შესთავაზეს. წმიდა აბიბოსმა არ მიიღო წინადადება. როცა მცხეთას მიუახლოვდნენ, მღვდელმოწამემ

(გაგრძელება მე-9 გვ.)

(დასაწყისი მე-8 გვ.)

სვეტიცხოვლის ტაძარში ილოცა, შემდეგ მტარვალებს სთხოვა, წმიდა შიო მღვიმელის ნახვის უფლება მიეცათ მისთვის. სპარსელები დათანხმდნენ. სულიერმა ძმებმა მოიკითხეს ერთმანეთი და ერთად ილოცეს. შემდეგ წმიდა ეპისკოპოსმა სასწაულთმოქმედ მეუდაბნოეს სთხოვა, ელოცა მისთვის. წმიდა შიომ უთხრა: „ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ უფალმან, რაჲთა აღტყინებულიცა იგი უჩინოჲ ცეცხლი, რომელ აღუგზნიეს შენთჳს ეშმაკსა განსაცდელად, დაშრიტო ადვილად... უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალი და ჭირი ეგე შენი მათ დაცემა და განბნევა...“ სულიერი ძმის სიტყვით და ლოცვით გამხნევებული მღვდელმოწამე რეხში ჩაიყვანეს.

მარზაპანმა მრისხანედ ჰკითხა სამსჯავროზე წარმდგარ წმიდა ეპისკოპოსს: „რაჲსათჳს უვარ-ჰყავ უფლებაჲ მეფეთ-მეფისაჲ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი?“ წმიდა აბიბოსმა მშვიდად მიუგო: „მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე, რაჲთამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ, რაჲთა განეყენნეთ უნდოსა მას მსახურებასა და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ“. გაგულისებულმა მარზაპანმა კვლავ ჰკითხა: „მე გკითხავ, რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგჳყვანნე?“ ნეტარმა აბიბოსმა მშვიდად მიუგო: მე ღმერთი კი არ მომიკლავს, მხოლოდ ცეცხლი დავშრიტე. ცეცხლი ღმერთი კი არ არის, ბუნების ნაწილია, ცეცხლი შეშის დაწვით წარმოიქმნება, მცირედმა წყალმა ჩააქრო, წყალი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მოკლა იგი. „აწ მიკჳრს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხჳლ გიჩნს მისი სახელის დებად ღმრთად, რომელსა ესეოდენი სული აქუს?“ სპარსელი მარზაპანი საშინლად განარისხა წმიდა მღვდელმთავრის ასეთმა პასუხმა და მისი წამება ბრძანა. ჯალათებმა საშინლად ტანჯეს ნეტარი აბიბოსი და ბოლოს „ქვითა განტვინეს“. მისი წმიდა ცხედარი ქალაქგარეთ გაათრიეს, უპატიოდ დააგდეს ცხოველთა და ფრინველთა საჯიჯგნად და მცველები მიუჩინეს, რომ ქრისტიანთაგან არავის მოეპარა და პატივით არ დაეფლა წმიდანის ნეშტი. ღამით რეხის მღვდლები და ბერები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმიდა მღვდელმოწამის ცხედარი სამთავისის მონასტერში. აბიბოსის საფლავთან სასწაულებრივი კურნებანი აღესრულებოდა. ქართლის ერისთავის, სტეფანოზის დროს კათოლიკოს თაბორის სურვილით მღვდელმოწამის უხრწნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენეს და წმიდა ტრაპეზის ქვეშ დაფლეს.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წიგნი II. თბილისი, 2008.

საეკლესიო კალენდარი

4 დეკემბერი (პარ.)	— ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა.
6 დეკემბერი (კვ.)	— წმ. გრიგოლ არქიმანდრიტის (ფერაძის) ხსენება.
7 დეკემბერი (ორშ.)	— დიდმოწამე ეკატერინეს ხსენება.
12 დეკემბერი (შაბ.)	— მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ხსენება (VI ს.).
13 დეკემბერი (კვ.)	— მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენება.
	— წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის ხსენება.
15 დეკემბერი (სამშ.)	— წმ. ისე წილკნელის ხსენება.
17 დეკემბერი (ხუთშ.)	— დიდმოწამე ბარბარეს ხსენება.
19 დეკემბერი (შაბ.)	— წმ. ნიკოლოზის ხსენება.
24 დეკემბერი (ხუთშ.)	— ყოველთა წმიდათა, საქართველოში წამებულთა ხსენება.
25 დეკემბერი (პარ.)	— წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენება.
	— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე.
27 დეკემბერი	— მართალ მამათა კვირა.
30 დეკემბერი (ოთხშ.)	— წინასწარმეტყველი დანიელისა და სამთა ყრმათა — ანანიასი, აზარიასი და მისაილის ხსენება.

ჩვენი მოძღვარი

(კითხვა-პასუხი სულიერი ცხოვრების შესახებ)

— საკმარისია თუ არა მხოლოდ ღმერთს რომ წარვუდგებოდეთ სინანულით, ხოლო მღვდლის წინაშე აღარ ვამბობდეთ აღსარებას?

— ნეტარი ავგუსტინეს დამოძღვრით, საკმარისი არ არის თვით ღმერთს წარვუდგებოდეთ წრფელი აღსარებითა და ცოდვათა მონანიებით, — აუცილებელია იმასაც ვაბარებდეთ აღსარებას, ვისაც თვით ღმერთისაგან მიუღია ხელმწიფება აღსარების მიღებისა და ცოდვათა მიტევებისა.

— როგორი განზრახვით ევნებოდნენ წმიდა მოწამეები?

— წმ. იოანე ოქროპირის თქმით, წმ. მოწამეებმა ესრეთ განიზრახეს: თუკი ღმერთი ჯვარს ეცვა კაცთათვის, ჩვენი ხსნისა და ცხოვნებისათვის, ჩვენ რატომღა გვეშინოდეს სიკვდილის მიღება ჩვენი უფლისათვის?! ამისთვის ყოველი სატანჯველი მათ სიხარულად უქცია ღმერთმა.

— როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდება მხოლოდ ამა ქვეყნისათვის მცხოვრები ადამიანის სული, როცა ის პირისპირ წარსდგება სიკვდილის წინაშე?

— წმ. ანტონი დიდი ბრძანებს: გინახავთ, რა ტანჯვით იხუთება ნაპირზე გადმოგდებული თევზი?! აი, ასეთივე ტანჯვით შეიხუთება მძიმედ შეჭირვებული ჩვენი სულიც, როცა იგი, მანამდე მხოლოდ ამა სოფლისათვის მცხოვრები, პირისპირ დადგება მისი დატოვების აუცილებლობის წინაშე. მაშინ ძალზე ვინანებთ ყოველი იმ წუთის გამო, რომელიც შეგვეძლო სულის სარგებლობისათვის გამოგვეყენებინა, მაგრამ არ გავაკეთეთ ეს და უქმად დაგვეკარგა ისინი. მაშინ ძალზე ვინანებთ ყოველი იმ უზაკველი სიხარულის გამო, რომლითაც შეგვეძლო დავმტკბარიყავით, მაგრამ არ დავტკბით, რადგან ამაო, წარმავალი გრძნობისმიერი სიამენი გვიშლიდა ხელს და თავისკენ გვიტაცებდა მაცდუნებელი მომხიბვლელობით. მაშინ ძალზე ვინანებთ ყოველი იმ შემთხვევისათვის, რომელიც ღმერთისგან მოგვემადლა სათნოებაში ჩვენს განსამტკიცებლად და ხელიდან გავუშვით. მაშინ ჩვენ სრულად შევიცნობთ, თუ ამქვეყნად რა კნინ ფასად გაგვიყიდია ჩვენი უფლება ცათა სასუფევლის დამკვიდრებაზე და რა ძვირად შეგვისყიდია გეჰენიის ცეცხლი! და მაშინ ცხადად შეიცნობ შენ, ჰოი, ცოდვილო ადამიანო, თუ რა ძვირფასი ყოფილა ის დრო, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრებისას უქმად დაგვიკარგავს. იმ მძიმე ჟამს, როცა იძულებული იქნები დატოვო ეს ქვეყანა, უკვე მეტისმეტად გვიან იქნება რაიმე გამოასწორო! მაშინ კი ისურვებდი ნებისმიერ ფასად გეყიდა იგი, მაგრამ ვერ შეძლებ.

— რას ადარებენ წმ. მამები მომაკვდინებელ და არამომაკვდინებელ ცოდვებს?

— წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვის განმარტებით, წმ. მამებმა მომაკვდინებელი ცოდვა მძიმე ლოდს შეადარეს, არამომაკვდინებელი კი — კენჭს. ადამიანს კისერზე ლოდი რომ ჩამოვკიდოთ და წყალში ჩავაგდოთ, დაიხრჩობა ასეთი, ერთი მომაკვდინებელი ცოდვაც კმარა, რომ სული ჯოჯოხეთის უფსკრულში გადაეშვას. კენჭი კი მძიმე არ არის. არამომაკვდინებელი ცოდვაც, თუ დროულად მივხედავთ საკუთარ თავს და მოვინანიებთ მას, დაკნინებული და შევედრებულია და ვერ შეცვლის ჩვენი სულის საბოლოო ხვედრს.

— როგორ ვნებს სულს მრავალრიცხოვანი არამომაკვდინებელი ცოდვა?

— კვლავ წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი გვასწავლის, რომ მრავალრიცხოვანი არამომაკვდინებელი ცოდვა ისევე ბილწავს სულს, როგორც — მომაკვდინებელი. კაცს თუ კენჭებით სავსე ტომარას ჩამოვკიდებთ ყელზე და წყალში ჩავაგდებთ, ისევე დაიხრჩობა, როგორც კისერზე ლოდჩამოკიდებული.

— როგორ მსჯელობდნენ სამყაროს დაბადების შესახებ ელინი ფილოსოფოსები?

— წმ. ბასილი დიდის თქმით, ელინმა ფილოსოფოსებმა ბუნებაზე ბევრი იმსჯელეს, მაგრამ არცერთი მოძღვრება მტკიცე და ურყევი არ ყოფილა, რადგან წინა მოძღვრებას ყოველთვის მომდევნო ამხობდა. ამიტომაც ჩვენ მათი მხილება არ გვჭირდება, ერთმანეთის დასამხობად თვითონაც საკმარისნი არიან. რომელთაც ღმერთი ვერ იცნეს, მათ ვერც ყოველთა დაბადების გონიერი მიზეზი გულისხმაყვეს და სხვა დასკვნებიც ერთმანეთის მიყოლებით ამ პირველი უგუნურების შესაბამისად გამოიტანეს. ამიტომაც ერთნი მატერიალური საფუძვლებისაკენ მიილტვოდნენ და ყოველივე არსებულის მიზეზად კოსმოსის სტიქიებს თვლიდნენ, სხვების წარმოდგენით კი ხილული საგნების ბუნებას განუყოფელი და დაუნაწევრებელი სხეულები, სიმძიმე და ფორები ქმნიდნენ. რამდენადაც განუყოფელი სხეულები ხან ერთმანეთისაკენ მიისწრაფვიან, ხან კი ერთმანეთისაგან განიზიდებიან, ამდენად დაბადებაც და დაღუპვაც თითქმის ამისდა შესაბამისად ხდება; ხოლო იმ სხეულების ხანგრძლივობის მიზეზი, რომელნიც სხვებზე დიდხანს არსებობენ, ატომების უმტკიცეს შეერთებაში მდგომარეობს.



ჭეშმარიტად, ობობას ქსელს ქსოვენ ამის დამწერნი, რადგან ზეცას, მიწასა და ზღვას საფუძვლად ასე მცირესა და სუსტ საწყისებს უდებენ. მათ არ იცოდნენ და ვერ თქვეს: „დასაბამად ქმნნა ღმერთმან ცა და ქუეყანა“. მათში დამკვიდრებულმა უღმერთობამ შეაცდინა ისინი და აფიქრებინა, რომ ყოველივე განმგებლობისა და წესრიგის გარეშე არსებობს და მოძრაობას შემთხვევით იწყებენ.

ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი
დეკანოზი ბიძინა (გუნია)

„ადგილზეთობა 2009“

მოგზაურობა ფაღვით კონეკში



ოპიზარი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი